საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პოლიტიკური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

კვირა, დეკემბრის 25
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანიშნული რევკომები უნდა შესცვალოს არჩეულმა საბჭოებმა.

# საბჭოებს ირჩევს მუშები და მშრომელი გლეხობა

## უკვე მუშაობას შეუდგა საქართველოს საბჭოების მომწვევი ცენტრალური კომისია და მალე გამოქვეყნდება საარჩევნო დებულება-ინსტრუქციები.

# მზად ვიყოთ არჩევნებისათვის და ავირჩიოთ მშრომელთა ძალაუფლების ერთგულნი.

მეუღლე ვერა ლონგინოზის ასული, შვილები ოთარი და ეთერი, დედა ეკატერინე, და ელენე მაჩაბლისა, ძმები: ივანე, სამსონი, იოსები და ქაიხოსრო ცოლშვილით, სიდედრი მარიამ მიხეილის ასული კავსაძისა ვაჟი-შვილებით და რძლებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 25 დეკემბერს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ესტატე გიორგის ძე ავალიშვილის

სულის მოსახსენებლად.

## რა უნდათ?

როდესაც პროვინციის ორგანიზაციებში მივდივართ, ხშირად გვეკითხებიან რა უნდათ მემარჯვენე ფედერალისტებსო. ასეთი კითხვა სრულებით ბუნებრივია, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი ძალიან ძნელია. ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი ყოფილი ამხანაგების ფიზიონომიას. მაგრამ როდესაც მას ვეხებით, უფრო მეტად იმაზე ვლაპარაკობთ, თუ რა რა უნდათ მათ, რას ებრძვიან ისინი. მართლაც და ძალიან გონებამახვილობაა საჭირო, რომ მემარჯვენე ფედერალისტების პოლიტიკა გაიგო.

უფრო ადვილია მისი ახსნა, თუ რა არ უნდათ მემარჯვენე ფედერალისტებს. დავიწყოთ საგარეო პოლიტიკიდან.

ყოველი სოციალისტური პარტია ცდილობს მჭიდრო კავშირი დაიკავოს საერთაშორისო სოციალისტურ ორგანიზაციებთან, შეაერთოს ძალები და მთლიანი ფრონტით უზრუნველყოს გამარჯვება. დღეს ოთხი ინტერნაციონალი არსებობს სხვა და სხვა ტიპის, სხვა და სხვა პროგრამის, სხვა და სხვა ფიზიონომიის.

მეორე ინტერნაციონალს იღებენ თუ არა მემარჯვენე ფედერალისტები? არ იღებენ. ორ ნახევარ ინტერნაციონალს იღებენ? არ იღებენ. მესამე ინტერნაციონალს იღებენ? არა. მეოთხე ინტერნაციონალს იღებენ? არა. ერთს ლიგას იღებენ? თუ მათ განცხადებას დაუჯერებთ, არ იღებენ. მაშასადამე საერთაშორისო პოლიტიკის ძალთა კონცერტიდან მემარჯვენე ფედერალისტები არც ერთ ძალას არ იღებენ.

შესაძლებელია თუ არა დღეს ცოცხალი პოლიტიკური პარტიის არსებობა, რომელიც მსოფლიოში არსებულ ძალთა შორის არც ერთს არ მიიღებდა?

რა თქმა უნდა ეს არ არის შესაძლებელი.

იმ საფუძველზე მეტია, რაც საერთაშორისო პოლიტიკა გახდა თითქმის ყოველ პოლიტიკის ბარომეტრი, ყოველი პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკაში ლირიკოსი არ არის და ფაქტთა ანალიზში პროფანი, ითვალისწინებს იმ ძალებს, რომელნიც მოქმედებენ საერთაშორისო პოლიტიკაში და იმის მიხედვით მიმართავს პოლიტიკური პლატფორმის გეზს, საითაც იწვევს ისტორიის ლოგიკა, რომელ ძალასაც მოელის გამარჯვება. თუ არსებულ ძალთა შორის არც ერთი არ არის მისაღები, პოლიტიკური პარტია ცდილობს საკუთარი ძალის შექმნას, მაგრამ ასეთი საკუთარი ძალის შექმნა და მსოფლიო მაშტაბით რომელიმე მოძრაობის ხელმძღვანელობა არ შეიძლება მიზნად ქონდეს მემარჯვენე ფედერალისტებს.

მაშასადამე საგარეო პოლიტიკის ძალთა შორის მემარჯვენე ფედერალისტები თითქოს არც ერთ ძალას არ უკავშირდებიან, აქედან ლოღიკური აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ისინი იღებენ „საკუთარ ძალას".

„საკუთარი ძალა" პრაქტიკულად ვერავითარ გამართლებას ვერ ჰპოულობს, თეორიულად ფედერალისტი „საკუთარ ძალას" ვერ მიიღებს, რამდენადაც ფედერალიზმი თავის პრინციპშივე უარყოფს პარტიკულიარიზმს, „საკუთარი ძალით" სვლას.

კიდევ რა „სურს" მემარჯვენე ფედერალისტებს? „ოთხფორმულიანი" არჩევნები. ოთხფორმულიანი არჩევნების მოთხოვნა საბჭოთა სისტემის ნიადაგზე მდგართათვის აბსურდია. პარტიის მხედველობით პარლამენტარიზმი, როგორც ერთად ერთი გზა სოციალური გარდაქმნისა, მიუღებელია.

შეიძლება კიდევ სურს რამე მემარჯვენე ფედერალისტებს? ალბად სოციალიზაცია მიწის. ეს უკვე ტარდება, მაგრამ ამას „სიმპატიით" ვერ უყურებენ.

კიდევ რა უნდათ? არ ვიცით. დიახ, საქმეც იმაშია, რომ მდუმარე კაცი ზოგს ბრძენი ჰგონია. მემარჯვენე ფედერალისტები დღეს სდუმან და ამით კიდევ ცოტა ხნით სულს იბრუნებენ, როდესაც ჩვენი ამხანაგები გვეკითხებიან, თუ რა უნდათ მემარჯვენე ფედერალისტებსო, ჩვენ პასუხი ალარა გვაქვს და იძულებული ვართ ავუხსნათ, თუ არ უნდათ მათ, რას არ იღებენ ისინი.

საქართველოში და არც საქართველოს გარეთ, არც ერთი პარტია ისეთი ბუნდოვანი სახის არ არის, როგორიც მემარჯვენე ფედერალისტებია, თქვენ შეგიძლიათ ნათელი წარმოდგენა იქონიოთ მენშევიკებზე, ბოლშევიკებზე, ესერებზე და სხვებზედ, თქვენ შეგიძლიათ შეეფასოთ და ებრძოლოთ ან დაეთანხმოთ მათ, მაგრამ რა უნდა უქნათ მემარჯვენე ფედერალისტებს? არარაობის წინააღმდეგ ბრძოლა რა ხელსაყრელია. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ნაკლებ ვლაპარაკობთ მათზედ.

ჩვენი ყოფილი ამხანაგები მალე დარწმუნდებიან, რა უნდა მემარჯვენე ფედერალისტებს, დარწმუნდებიან თუ გონებავთ იმით, რომ თანდათან ნათელი გახდება, ის მაინც მათ არ უნდათ, რასაც ისინი არ იღებენ.

დარწმუნდებიან მემარჯვენეთა შორის კრიტიკული უნარის მქონე ამხანაგები, თუ ვინ ემსახურება არჩილის დროშას, ვინ ატარებს სოციალ-ფედერალიზმის ემბლემას, ვინ იბრძვის ქართული სოციალიზმის ნიადაგზე, ვინ ემსახურება სოციალიზმს და საქართველოს.

გაიარს მტკივნეული ხანა, პირადი სურვილები და პედანტური ემოციები ადგილს დაუთმობს პოლიტიკურ აზროვნებას, ისტორიის ფურცლები გადაიშლება და მიუდგომელი ხელი ჩასწერს მომავლისთვის თავის განაჩენს.

დადგება განკითხვის დრო და ზოგი მარცხნით, ზოგი მარჯვნით განწესრიგდება, რომ ახალ სამეფოში წარსდგნენ ან შერცხვენილი სოციალისტური რევოლიუციური და ეროვნული სინიდისით, ან ბრძოლით დაჭანცულნი, ილაჯ-გაწყვეტილნი სპეტაკი სიამაყით და მიზნის მიხწევით გალაღებულნი. ასეთი დრო არც ისე შორს არის და ისტორიის სამართალი გამოიტანს სასტიკ განაჩენს, თუ ვის რა უნდოდა, ვინ რისთვის იბრძოდა.

## კულტურული ლაშქარი

ქართული საზოგადოებრივი აზრი ამ ჟამად მიმართულია სტუდენტთა საკითხისაკენ. სრულიად ბუნებრივია ეს მოვლენა: სტუდენტობაში გვეხატება მომავალ თაობის სახელოვანი მერმისი. ყოველი ერის ძლიერება მის კულტურულ ძლიერებაშია ჩამარხული. კულტურული ძალის ერთი წარმომადგენელი—სტუდენტობაა, მაშასადამე, სტუდენტთა საკითხი კულტურის საკითხია, რომლის რაციონალი, მიზანშეწონილი გადაწყვეტაზეა დამოკიდებული არა მარტო განათლების დარგში წარმატების საქმე, არამედ ეროვნული სულის, ეროვნული ინტელექტუალი ენერგიის შემდეგი განვითარების პრობლემაც.

დღეს ჩვენ სამწუხარო ფაქტის წინაშე ვსდგევართ: სტუდენტობა გადაშენების, გადაგვარების გზაზეა შემდგარი. ყოველი ჩვენთაგანი ხვდება სტუდენტ „ჩინოვნიკს", სტუდენტ სპეკულიანტს, მაგრამ ნამდვილ სტუდენტს, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით—ძლიერ იშვიათად. რა საკვირველია, ამ მოვლენას აქვს გასამართლებელი მიზეზები. პირობათა მთელი რიგები, რომელიც გადაშლილია ჩვენს წინაშე და რომელშიაც უხდება ცხოვრება სტუდენტობას, არ აძლევს მოსწავლე ახალგაზრდობას ნორმალი მუშაობის საშუალებას. მწვავე ეკონომიური მდგომარეობა არ აძლევს სტუდენტს გასაქანს. განა შესაძლოა წარმოვიდგინოთ ჩვეულებრივ სმა-ჭამას მოკლებული ახალგაზრდა თავისი დანიშნულების ღირსეულად შემსრულებ თ იყოს დაინტერესებული? ცხადია, დამშეული, ტიტველ-შიშველი სტუდენტია იძულებულია ხელი აიღოს საკუთარ მოწოდებაზე და იზრუნოს კუჭის საკითხის მოგვარებაზე. ასეთია მოკლედ სტუდენტთა მდგომარეობა დღეს, ასეთივე იყო იგი წინეთ, „დემოკრატიზმის" ხანაში.

მენშევიკური მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სტუდენტთა აუტანელ პირობებს, არავითარი მუშაობა, არავითარი ცდაც კი „დემოკრატიული" მთავრობის მხრით საქართველოს მოზარდ თაობის მდგომარეობის მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში არ წარმოებულა. სამწუხაროდ, უპატრონოდ დარჩენილ სტუდენტობას თვითონ უხდებოდა საკუთარი ცხოვრების მოწესრიგება. განათლების სამინისტრო განზე იდგა, მისთვის სტუდენტთა საკითხი პრინციპიალურად არც კი არსებობდა. და სრულებით ბუნებრივად: სტუდენტთა საკითხი არსებითად ეროვნული საკითხი იყო, მენშევიკებს კი არ სწამდათ არავითარი არც ეროვნების, არც მათ კულტურის. ქართული უნივერსიტეტი გამოკეტილი მონასტერი იყო, უდაბურ ღრე-ღელეებში მიგდებული, ამიერკავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოთ მილიონიანი ფონდი იქმნებოდა. ქართულ უნივერსიტეტს, როგორც სტუდენტობა, ისე პროფესურა ეკონომიურ-ფინანსიურ უილაჯობით სულს დაფავდა, აგონიას განიცდიდა ერთი სიტყვით, მენშევიკური პოლიტიკა ნამდვილი არ დაცვა, მწარე სარკაზმი იყო ეროვნული კულტურის მომავლის ქართველი სტუდენტობის.

შეიცვლია. ბურჟუაზიული მენშევიზმის მოსპობით, ანტიეროვნულ ძალების ლიკვიდაციით დასაბჭოთა სისტემის ჩამოყალიბებით ძირ-ბუდიანად შეიცვლება სტუდენტთა სავალალო მდგომარეობა. რომ ეს რეალობაა და არა ლიტონი სიტყვა, ადასტურებს ის წინასწარი ღეგმები, რომელიც შემუშავებული აქვს სახალხო განათლების კომისარიატს. საკითხი სადღაღ ახალ ნიადაგზე დაყენებული, მისი გონივრული გადაჭრა და რეალიზაცია მოკლებულია ყოველგვარ ეჭვებს. სახკანკომის გადაწყვეტილების და დაპირების მიხედვით სავ.ებით უზრუნველყოფილი იქნება 290 სახელმწიფო უნივერსიტეტის და 250 პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. ცხადია, მეტად მნიშვნელოვანი და საერო ნაბიჯია მთავრობის მიერ გადადგმული.

შეუძლებელია, სამწუხაროდ, ერთი გარემოების აღუნიშნველობა. ჩვენი სტუდენტობის უდიდესი ნაწილი მტრულადაა განწყობილი არსებული წყობილებისადმი. იგი არაა დარწმუნებული საბჭოთა სისტემის და მშრომელთა კლასის დიქტატურის რაციონალობაში. აშკარაა, ეს მენშევიზმის უშუალო შედეგია. სამი წლის განმავლობაში ქართველი ახალგაზრდობა იზრდებოდა მენშევიკური „კულტურის" გავლენის ქვეშ და სუნთქავდა ბურჟუაზიულ-მეშჩანურ ატმოსფერაში. წლების განმავლობაში შექმნილ გამტკიცებული ძნელია ადმოიფხვრას რამდენიმე თვის განმავლობაში, რა გინდ ცვლილებებს არ ჰქონდეს ადგილი. თავის ჰეგემონიის აღსასრულის წინ მენშევიკები მთელი თავისი მჰერმეტყველური ერუდიციით, დემაგოგიური ფახდებით ხიბლავდნენ ქართველ სტუდენტობას.

ქართველმა სტუდენტობამ მართლა დაამტკიცა, რომ ძას შეუძლია რაინდული ბრძოლა. მაგრამ დღეს იგი უშვებს დიდ შეცდომას: სამშობლოს დაცვის ლოზუნგის ქვეშ განაგრძობს მენშევიკური ოლიგარხიის სასრსეზო ინტერესების დაცვას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, სტუდენტობის დიდ უმრავლესობისათვის საცნებით უცხოა ეს. მენშევიკური მთავრობის ტრაგედიის შემდეგ გასულია მხოლოდ 9—10 თვე და ამ ხნის განმავლობაში მართლა ძნელია სტუდენტობის სულის სიღრმიდან ამოიფხვრას წარსული ისტორია...

ქართველი სტუდენტობა მშრომელი ხალხის წიაღიდან არის გამოსული. იგი არ ჰგავს კაპიტალისტურ ევროპის გარყვნილ ინტელიგენციას. ჩვენს სტუდენტობაში სდუღს საუკეთესო მომავლისთვის თავგანწირულ ბრძოლის ჰალვანიური ჩქერი, მასში დაგროვილია რევოლიუციური პოტენცია. საქართველოს ეროვნულ-სოციალისტური კულტურის შენებაში უდიდესი როლი მშრომელ სტუდენტობამ უნდა ითამაშოს. ფანტასტიურ გრძნობათა სამყარომ განვლო განვითარების ხანა, დღეიდან ადგილი უნდა დაეთმოს ცივი გონების და სადა კრიტიკის ბატონობას, განათლების არმია უნდა იქნეს იქ, სადაც კეთდება ხალხოსნური საქმე, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს, ჩამოიქნას ეროვნული თავისუფლების ურყევი საფუძვლები.

გ. მუშიშვილი.

## გადაგვარებული ინტელიგენტები

ბოლშევიკების შემოსვლის შემდგომ, ჩვენი საზოგადოებრივი აზრი შეირყა. ნაწილი ინტელიგენციისა მიემხრო კომუნისტურ მოძრაობას, მიიღო ორიენტაცია მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციისა, მაგრამ არ დაუვიწყნია ეროვნული მომენტი. ნაწილი სკეპტიკურად უცქერის მათ მიერ ჩვენი ეროვნული საკითხის დაცვას. ისინი არ ეთანხმებიან რუსეთის მოძრაობას და განაგრძობენ ძველ პოზიციებზე დგომას. არსებითად არც ერთი და არც მეორე მიმდინარეობა ამ საწინააღმდეგო ფრთისა ჩვენი სინამდვილისათვის, ვფიქრობთ, იმდენად სავალალო არ არის, როგორც ის მესამე ჯგუფის ვაჟბატონები, გადაგვარებული ინტელიგენტები, რომელნიც ბოლშევიკების შემოსვლის შემდგომ ალაპარაკდენ ნიჰილისტურ ჰანგებზე. ისინი ჰგმობენ ყოველივე ქართველურს, ისინი ამბობენ: „ჩვენი ერის დამოუკიდებელი არსებობა ფიქციაა,—ჯვარის შექმნა, ვინმესთან ბრძოლაც.. უმჯობესია შევუერთდეთ ისევ რუსეთს, სასაცილო იყო საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა: „უთვისტომო მილიონ ნახევარ იდეოტიდების".. ოდესღაც რადაც ვიყავით, რადაც გვქონდა.. ეხლა არც სულიერი და არც მატერიალური სიმდიდრე.. კულტურა.. სასაცილოა ჩვენი უნივერსიტეტი: „კურამ ნ, სმეხ".. ქართველს, ერთი რომ, არ შეუძლიან გახდეს მეცნიერი., ჩვენში მეცნიერების შემაწავლელი ბოლოს და ბოლოს ლექსის „ჯლაბნას" დაიწყებს.. ჩვენი კულტურა, ჩვენი საქმიანობა ამ რევოლიუციონურს ხანაში ხალხურს, „სიმონიკა გოცაძის" სიმღერით ამოიწურა.. სასაცილოა ჩვენი ინტელიგენტი გახუნებულ პალტოთი, ყაბალახითა და წვიმისაგან შეჭმულ შლიაპითა" და სხვა და სხვა.. აი, ასეთია მოკლედ კიხემატოგრაფიული ნიჰილისტურ ჰანგებისა. ასეთი მოაზროვნეები დღეს ყოველ მიმდინარეობაში და ჯგუფშიც ბლომათ მოიპოვება.. ისინი ბლომათ იყვნენ მენშევიკების აქ არსებობისაც და განსაკუთრებით კი ეხლა გამხრწნელ ბაცილებივით მოედვნენ ისინი ჩვენს საზოგადოებას. ისინი არიან სასტიკი მტრები ჩვენი კულტურის, ჩვენი ერის და არა მარტო ერის: რევოლიუციისაც; ისინი უშლიან ხელს არსებულ ხელისუფალთა დადებით მუშაობას. სულ სხვაა ეროვნულ ნაკლების აღნიშვნა და მათ მოსასპობათ გზების ძიება,—მაგრამ სასაცილოა ეროვნულ

ნაკლთა ოლიმპის ზღვარღმა ჩვენი ეროვნული თვითმკვლელობის ძლიარება, განსაკუთრებით ახლა, როცა ახალი წყობილების განმტკიცებისას მრავალი დაბრკოლებები გვიდგება წინ, არა სასურველი და საიმედო „შემოპირული“ პირთაგან, (ასე ოსტატურად და ხშირად რომ მიეკედლება ხოლმე ამა თუ იმ პარტიას რევოლიუციონერხ ნაზი), ძმობას და ამხანაგობას, რომ გვეფიცება თეთრი კბილების ჩვენებით, ხოლო გულით ღვარძლს ჩვენდა გადმოსახლეს ზავი გასლითა. რამდენი იყო ასეთები, და რამდენი ერთი? ვიმეორებთ; ჩვენ არ გვაშინებს იდეურ ხალხთა საქმე, რომელნიც სპეტაკ გულითა, უმშვენიერეს სურვილებით იბრძვიან რაინდებივით თვის წმინდათა წმინდა იდეებისათვის... არ გვაშინებენ ჩვენ კაცობრიობის მონობის ბორკილებისათვის მებრძოლნი და არც ისინი, ვინც მწირივით, განდგომილნი ატარებენ გულის სიღრმეში ერის სიყვარულს, ღალადით იხსენიებენ ერის უფლებათ და მოითხოვენ მისთვის თავისუფლებას, ვისაც ერი დაუსახავს მარადიულ მცნებათ... საგალალო და საშიშა ეროვნულ ბრძოლის და „ბორროტების“ შემქმნელნი, კულტურის და ერის მტერი გადაგვარებული ინტელიგენტები. ერიდეთ მათ...

ალ. ქ—ძე.

## რუსეთი

**მოსკოვი** 18 დეკ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შემოიღოს გადასახადი გაზეთებზე 1922 წ. 1-იანვრიდან. იანვრის განმავლობაში გაზეთები გავრცელება დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომელსაც დებულობდნენ ისინი 1921 წ. დეკემბრის განმავლობაში, მათ ხარჯზე, მიუხედავად გაზეთების ფასის წინდაწინ მიუღებლობისა.

მოსკოვი გაზ. „იზვესტია“ სიმშილის რაიონებზე და მასთან საბრძოლველ მიზნების შესახებ წერილში სწერს: ჩვეულებრივად ლაპარაკობენ ვოლგის მხარის სიმშილის შესახებ, ნამდვილად კი მოუსავლობამ რ. ს. ფ. ს. რ. დიდმნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. ნიჟეგოროდის, ეკატერინენბურგის, პერმის, პენზენის გუბერნიებზე; დონის ოლქი, ჩრდილო კავკასია, უკრაინის ნაწილი მეტად დაზარალებულია მოუსავლობით. ოცდა თექვსმეტი მილიონი 988,000 დესეტინა სათეს მიწიდან ევროპიულ რუსეთისა 81.137,000 მოსახლეობით დაზარალდა 13,343,000 დესეტინა, მცხოვრებთა 25,889,000 რიცხვით. თუ ამას მივუმატებთ უკრაინის დაზარალებულ ნაწილს, მაშინ მთელი დაზარალებული სივრცე გამოიხატება ოცი მილიონი 742,000 დესეტინით და 37,210,000 მოსახლეობით. ამრიგად მოუსავლობამ დაზარალა 40 პროცენტი სათეს მიწებისა და 33 პროცენტამდე მოსახლეობისა. უმთავრესად სიმშილი არის ვოლგის და ურალის ხარეში, სადაც მოუსავლობამ დააზარალა ეს უმდიდრესად მოსავლიანი ადგილები რუსეთისა. სხვა ადგილებში ისე არაა გავრცელებული.

## უცხოეთი

**პარიზი.** 15 იანვრისათვის მოწვეულია უმაღლეს საბჭოს ამიტომ ლონდონის თათბირი დაკმაყოფილდება მხოლოდ ზოგიერთი გადაწყვეტილებით, რათა ისინი საბოლოო დასამტკიცებლად უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს.

**ბერლინი.** ლოიდ-ჯორჯმა გადაწყვიტა მოიწვიოს უახლოეს მომავალში დიდი კონფერენცია ევროპის ნორმალური ეკონომიური ცხოვრების აღდგენის საკითხის განსახილველათ. ამ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთი და გერმანიაც.

**პარიზი.** გაზეთი „ჟურნალი“ იტყობინება: პეკინში საფრანგეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლითაც ბოქსერების აჯანყების კონტრიბუცია ჩინეთის სამრეწველო ბანკის სასარგებლოთ იქნება.

**რომი.** იტალიის დეპუტატთა პალატის შაბათის სხდომაზე გაიხსნა კამათი არმიის რიცხვობრივ შემადგენლობაზე. სხდომის დასასრულს პალატის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პალატაში განსახილველად შემოვიდა სოციალისტური ჯგუფის კანონ პროექტი მიწის თანდათანობითი სოციალიზაციის შესახებ.

**მოსკოვი.** ქრისტიანიიდან იტყობინებიან: უმუშევრობა ნორვეგიაში იზრდება 40,000 უმუშევარზე მეტი ითვლება. უმუშევართა ბრბომ გამართა დიდი დემონსტრაცია მუნიციპალიტეტის წინ. სიტყვებით გამოვიდნენ: ბგასკალი, სტან კი და კომპარტიის ბელადი კნუტონი. მუნიციპალურმა საბჭომ უარი განაცხადა დეპუტატების მიღებაზე. კომუნისტურმა ფრაქციამ დასტოვა მუნიციპალიტეტი და დემონსტრაციას შეუერთდა. დემონსტრაციამ გაიარა სტორტინგის და მწარმოებელთა კავშირის შენობების წინ.

## საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

### მდგომარეობა ხონის რაიონში.

მცხოვრებთა სასურსათო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი ვერ არის. მოსავალი საშუალოზე ნაკლებია, რის გამო ხალხის სულიერი განწყობილება დაცემულია. მცხოვრებთა ადგილობრივ ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება კარგია. ცენტრალურ ორგანოების მუშაობა თან და თან ეთანხმება ადგილობრივ საქმის მდგომარეობას.

მიწის კომიტეტები შეძლებისდაგვარად მუშაობენ და თითქმის სავსებით აკმაყოფილებენ მცხოვრებთ. განსაკუთრებით კმაყოფილი არიან მითი ღარიბი და საშუალო გლეხები.

სწავლა-განათლების საქმე ჯერ-ჯერობით არ არის მოწყობილი უსახსრობის და მოსამსახურეთა დაუკმაყოფილებლობის გამო.

გლეხთა საჩივრები ურთიერთშორის ძლიერ იშვიათია.

### მდგომარეობა ფოთის რაიონში.

**სასურსათო მდგომარეობა.** მცხოვრებთა მდგომარეობა სურსათის მხრივ ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებელია, ვინაიდან ახალი მოსავალი სიმინდისა კიდევ არის. მოსავალი წელს ფოთის რაიონში საშუალოზე მეტია. მიწის კომიტეტები არ არსებობენ.

**სწავლა განათლების საქმე.** თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის განკარგულებისა ენკენისთვეში მოხდა სკოლების გადაჯგუფება და არსებული სასწავლებლები გადაკეთებულ იქნა ტეხნიკუმებად და შრომის სკოლებად. სკოლებში მეცადინეობა დაიწყო 10 ოქტომბრიდან. სკოლათა გადაჯგუფების მიხედვით მოხდა მოსწავლეებელთა გადაჯგუფება მასწავლებლებთა ნაკლებობა, განსაკუთრებით ტეხნიკუმისა და სპეციალურ სასწავლებელთათვის, მეტად საგრძნობელია. მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას დიდათ აფერხებს აგრეთვე სახელმძღვანელოების უქონლობა.

**პროპაგანდის საქმე.** საპროპაგანდო განყოფილების მიერ მოხდენილ იქნა ქ. ფოთის სამკითხველოების აღრიცხვა. ექსპედიცია გაზეთებს სისტემატიურად ვერ ღებულობს, რასაც ღებულობს ანაწილებს ფოთის ყველა დაწესებულებათა შორის და აგრეთვე აგზავნის ხუადიდში, ხეთაში, ხობში, ხორგაში, ანაკლიაში და სხვაგან.

სადღესასწაულო მიერ მოწყობილია ჯერ-ჯერობით საზღვაო კავშირში და პარტიულ სკოლაში.

ჩატარებულ იქნა „წითელი დამშეულ მცხოვრებთა კვირა“, „საბჭოთა ... კვირა“, „კავშირის სამი წლის თავი“, „ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავი და ახალგაზრდათა კომკავშირის ოთხი წლის თავი“.

### ფოთის რევკომის მოღვაწეობა.

**ქალაქის შემოსავლის გაძლიერება.** ვინაიდან ქ. ფოთის აწინდელ არსებობისათვის აუცილებელია მისი შემოსავლის წყაროს გაძლიერება, რევკომმა შუამდგომლობა აღძრა სათანადო ცენტრალურ დაწესებულების წინაშე, რათა მათი სასარგებლო საფუთო გ დასახადი ფოთის ნავთსადგურის და რკინის გზით შემოტანილ და გატანილ საქონელზე, გადიდებულ იქნას ეხლანდელ ფულის კურსის მიხედვით. აგრეთვე აღძრას შუამდგომლობა ნავთსადგურის ტერიტორიაზე ქალაქის კუთვნილი საწყობებიდან შემოსავლის ქალაქისთვის გადაცემაზე.

ფოთის რევკომის კომუნალურმა განყოფილებამ გამოიმუშავა ახალი ნიხრი გადასახადებისა: ამ ნიხრით საცხოვრებელ ბინებზე, საბალახოებზე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზე, სასტუმროებზე, ბუდეებზე, საწყობებზე და სხვა წინათ არსებული გადასახადი გადიდებულია ათასჯერ. თეატრი და სხვა გასართობების შემოსავლის 20 პროც. უნდა გადაეცეს ფოთის რევკომს.

**ცეცხლის მქრობელი რაზმი.** ვინაიდან ცეცხლის მქრობელი რაზმის არსებობა ქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რევკომი დაადგინა: შეადგინოს ასეთი მოხალისეთაგან და შეიკეთოს ამისთვის საჭირო ინვენტარი.

## მასწავლებელთა საერთაშორისო მოძრაობა *).

პროლეტარიატს გადმოუგდეს საჩუქარი „საერო სკოლის“ სახით, მაგრამ უკანასკნელი მიწყობილი აღმოჩნდა საკონცენტრაციო ბანაკივით, სადაც კარგად და სუფთად თავს იყრიან რევოლიუციონური პროლეტარიატის შვილები, სხვებისაგან განცალკევებულნი, ვინაიდან ეშინია, რომ უარყოფენ რელიგიის სწავლებას.. მაშინ, სადაც ისეთ ქალაქში, როგორიც ბერლინია, მაგალითად, თორმეტიოდე საერო სკოლის დათმობით. ამბობს გერილკე, ბურჟუაზია ინახავს ყველა დანარჩენ სკოლებს თავისუფლად ყოველგვარი კომუნისტური ელემენტებისაგან როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის მხრით“. „ამ სკოლების შინაგან ცხოვრებაში, სწერს გერილკე, მეფობს ძველი, ვილჰელმის დროის სული“, მისი ძირითადი კანონითა, რომელიც მოითხოვს ბავშვის ნების ჩაკვლას.

„ბიზანტიური სულისკვეთებაც კი არაა განდევნილი სკოლიდან. სოციალ-დემოკრატიული მინისტრები განათლებისა, როგორიც არიან ხენიში პრუსიაში, ხუმინი ვურტემბერგში და სხვები, წლობით „განაგებენ“ და ვერ გაუბედნიათ გაეტანიათ კარებიდან მეფის სურათები, აგრეთვე ქრისტომატიებიდან სიცრუით აღსავსე ლეგენდები თავადების შესახებ“. ასევე ახასიათებს სახალხო სკოლის მეორე წარმომადგენელიც გერმანიის მასწავლებლობისა, ამხ. მალპრიხტი. „სახალხო სკოლაშიო, ამბობს ის, სახელმწიფო ამრავლებს მისთვის აუცილებელ მშვიდ ხბორებს; საშუალო და მაღალ სასწავლებლებში ის ამზადებს ჯალათებს ამ ხბორებისათვის. სახალხო სკოლა—ესაა დამუჯლი სახლი, იძულებითი ბანაკი, დაწესებულება იდიოტებისათვის“. „როგორც კი ბავშვს დაასწავლიან ფანქარის დაჭერასო, სწერს ავსტრალიელი მასწავლებელი ირსმენი, რომელიც ახასიათებს აღზრდის სისტემას ინგლისის კოლონიაში, ავსტრალიაში,—მაშინვე ასწავლიან ფანქრის პრაქტიკულად გამოყენებას და სწორედ აქ აქვს ადგილი კონებრივ ნიჭთა დამახშობ და დამაჩლუნგებელ ზხამს. უწყვენ მთელ რიგ ლოზუნგებს და დებულებათ, რომელიც ბავშვმა უნდა გადასწეროს მრავალჯერ, სანამ დაისწავლიდეს ფანქარის მოხმარებას. აი ზოგიერთი ამ დებულებათა: „დმერთო იხსენი ჩვენი დიდებული მეფე“, „მართალია თუ არა ჩემი სამშობლო, მე მაინც მისკენ ვარ“ და სხვა.

ასეთ სკოლის შესაფერია მასწავლებლიც. ყველა ნახსენები ავტორი იწერილებით და მოხსენებების საშუალებით ახასიათებენ მასწავლებლობას,როგორც ერთ გულ მსახურს და სოხლის ბურჟუაზიული სახელმწიფოსი; მათზე უ სუტად მოქმედებს რევოლიუციონური პროპაგანდა. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლის ეკონომიური მდგომარეობა ხშირად საშინელია. „გერილკეს მოჰყავს ფაქტები იმის, რომ არამც თუ თითო-ოროლა, მთელი ამ უელი მასწავლებელთა უმაღლესი განათლებით მარტო ბერლინში, იძულებული არიან ოჯახის შესანახად მიმართონ გარეშე შემოსავალს და დადგეს საქმის მწარმოებლად ან მოლარეთ დამის ვარიეტეში, ან დავალებათა გადამცემ კურიერად“. ეს ფაქტები დამახასიათებელია არა მარტო გერმანიისათვის, არამედ ბევრი სხვა ქვეყნებისთვისაც. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათში ძლიერია წვრილ ბურჟუაზიული აზროვნება, შემუშავებული მასწავლებელთა აღზრდის მთელი სისტემით, და „ისინი იზრდებიან რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ურთიერთობის გარეშე და აგრეთვე გარეშე თანამედროვე დიდი პრობლემებისა“.

„ნახევრად განათლებულნი, ისიც სქოლასტიურად, სახალხო მასწავლებელნი აღვსილნი არიან წოდებრივი თავმოყვარეობით“ და პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსვლისთანავე ებმებიან ორგანიზაციულ გავლენის ქვეშ თავიანთ კორპორაციული და ცეხობრივი ორგანოებისა, რომელიც წვრილმანი გაუმჯობესებით, საურთიერთო კასებით, ბიბლიოთეკებით იფარავენ მთ ყოველივე ახალი რევოლიუციური გავლენისაგან და ამაგრებენ მასწავლებელთა რეაქციონურ და პოლიტიკურ-ობივატელურ განწყობილებას. „მასწავლებელთა ეს ორგანიზაციები, ამბობს თავის მოხსენებაში ამხ. მალპრიხტი, იყო და ეხლაც არის ბიუროკრატებთან ერთად მთავარი დასაყრდენი და მატარებელი რეაქციისა, ანტიბოლშევიკური და შოვინისტური განწყობილებისა. შეუგნებლად და უსინიდისოთ ეწყოდენ აგიტაციას ომის სასარგებლოთ, უსისინებდნენ და იწვევდნენ შოვინიზმს“.

ასე იყო არა მარტო გერმანიაში,—საფრანგეთშიაც და სხვა ქვეყნებში. ამ გარემოებამ გამოიწვია თითქმის ყველა ქვეყნებში ჩამოშორება უფრო რევოლიუციონურ და მოწინავე მასწავლებელთა ყვითელ ორგანიზაციებისაგან, და შექმნა რევოლიუციონური და სოციალისტური კავშირებისა.

სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან და სხვა მოსულებიდან ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთის გარდა ყველა ქვეყნებში, დაწყებული საფრანგეთ-გერმანიიდან და გათავებული შორეული არგენტინით, არსებობენ წვრილ ცეხობრივ კავშირებთან ერთად ორი ძირითადი დამოუკიდებელ საპროფესიო ორგანიზაცია: ყვითელი და რევოლიუციური.

გერმანიაში მასწავლებელ ქალთა კავშირი, კათოლიკური კავშირი, კავშირები მასწავლებელთა, საგნების მიხედვით, საშუალო სკოლის მასწავლებელთა რექტორების, ფილოლოგთა საზოგადოება და აგრეთვე ორი ძირითადი კავშირი. პირველია სრულიად გერმანიის მასწავლებელთა კავშირი, რომელიც აერთებს რამოდენიმე ათი ათას სახალხო მასწავლებელს ელემენტარული განათლებით. ამ კავშირს აქვს პოლიტიკურად ნეიტრალური პროგრამა; მაგრამ არსებითად წარმოადგენს ყვითელ შოვინისტურ კავშირს.

გერმანიის რევოლიუციის დასაწყისში, 1919 წლის იანვარში, როცა ძოწინავე სოციალისტური მასწავლებლობა დარწმუნდა, რომ არ შეიძლებოდა ამ კავშირის შიგნიდან გარევოლიუციონერება, მან დაარსა თავისი კავშირი „გერმანიისა და გერმანიის—ავსტრიის მასწავლებელთა სოციალისტური კავშირი“, რომელიც 1920 წლის დასაწყისში გადაკეთდა „სოციალისტ მასწავლებელთა თავისუფალ საპროფესიო წარმოებითი კავშირად“, რომელშიაც დაარსდა კომუნისტური ფრაქცია, რომელმაც ჯერ კიდევ 1920 წლის ნოემბერში, კომუნისტ მასწავლებელთა კონფერენციაზე შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები ახალი სკოლისათვის ბრძოლისა. ეს კავშირი ჯერ ახალგაზრდაა, აერთიანებს რამოდენიმე ათას კაცს და აქვს კვირეული ჟურნალი „Socialistische Erzier“ („სოციალისტური აღმზრდელი“).

თუმცა მასწავლებელთა პირველი სოციალისტური კავშირი დაარსდა ბავარიაში, ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერში ჰქონდა თავისი ორგანო „Föhn“ (გრიგალი), მაგრამ ეს კავშირი დაიშალა, როცა გამეფდა ბავარიაში რეაქცია.

საფრანგეთშიაც არსებობს ორი მთავარი ორგანიზაცია მასწავლებელთა: ეგრედ წოდებული „Amicales“ (მეგობართა საზოგადოებანი) და რევოლიუციური სინდიკატები. პირველი გაერთიანებული „მასწავლებელთა ნაციონალური კავშირში“ და ჰყავს 3 000 წევრი (უწინ კი პირველ რევოლუციამდე ჰყავდა 100,000 წევრი). ეს კავშირი არ იცავს პოლიტიკურ მიზნებს და მას ხელმძღვანელობს ისეთი ბელადი; როგორიცაა გლეი, რუსელი და სხვა სოციალ-შოვინისტები. მეორე კავშირი „მასწავლებელთა რევოლიუციონური სინდიკატების ფედერაცია“, რომელიც ჩამოშორდა „სამეგობრო კავშირებს“ 1907 წელს. აერთიანებს 9,000 კაცამდე და მიიღო პარლამენტისაგან ლეგალიზაცია 1919 წ. მას უფლება აქვს შევიდეს „შრომის საყოველთაო კონფედერაციაში“ ყველა რევოლიუციურ სინდიკატების ცენტრალური კომიტეტის საშუალებით, ეს უფლება არა აქვს პირველ კავშირს, ეს მეორე კავშირი წარმოადგენს უფრო აქტიურ, უფრო რევოლიუციურ ორგანიზაციას მასწავლებელთა. ის იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგში იყო საფრანგეთის მასწავლებელთა პ ოფესიულ მოძრაობის აქტიურ საკითხს შეადგენს გაერთიანების საკითხი, ამ საკითხს სხვა და სხვანაირად უყურებენ თვით რევოლიუციონურ სინდიკატების შიგნით ც. ნაწილი ხელმძღვანელებისა, როგორიცაა ბუიე, (მთავარი სეკრეტარი სინდიკატთა ფედერაციისა), რუსუ, ვიტკოვი, წინააღმდეგნი არიან შეერთებისა და ეშინიათ, რომ სინდიკატები არ დაიპყრონ ყვითელმა ბელადებმა. სხვები, მაგ. ფ. რენე, და სხვა მასწავლებლები, მაგ. ყველა მასწავლებლები Bouche du Rohne სინდიკატისა მომხრე არიან შეერთების და ამტკიცებენ, რომ ისინი უკვე იმდენად ძლიერნი არიან, რომ საშიში არაა სინდიკატების გამრავლება „amicales“ შემოერთებით. ამავე ტაქტიკურ სხვადასხვაობაზედ ლაპარაკობს ვიტკოვი, სენის სინდიკატის სეკრეტარი, რომელიც ამავე დროს ასრულებს პედაგოგიურ ინტერნაციონალის დროებით კომიტეტის სეკრეტარის მოვალეობას,—თავის წერილში მაგერისადმი და მოჰყავს შეერთების მომხრეთა საბუთი, რომ „შეერთება არის ლენინის პრინციპი“ და რომ „შეერთების მოწინააღმდეგენი არ იცნობენ კავშირების ინტერესებს ისე, როგორც ის განსაზღვრულ რუსმა ამხანაგმა“.

(როგორც ეხლა ამ დეპეშამ გვაცნობა, საფრანგეთის საპროფესიო მოძრაობაში მოხდა საერთო განხეთქილება და „შრომის საყოველთაო ფედერაციის გარდა, დაარსდა რევოლიუციონურ სინდიკატთა აღმასრულებელი კომიტეტი. ამის შემდეგ მასწავლებელთა ორგანიზაციების გაერთიანებაზედ ლაპარაკიც ზედმეტია).

(შემდეგი იქნება).

*) იხ. „ტრიბუნა“ № 106.

## პარტიაში

დღეს დეკემბრის 25, დღის 12 საათზე ბიუროში (ლორის-მელიქოვის 1) ახალგაზრდათა ოთახში № 5. დანიშნულია შემოკრებილი სოც. ფედ. სტუდენტთა საერთო კრება. განსახილველია ურთიერთული საკითხები — ამხანაგებს ევალებათ აუცილებლად დაესწროს.

დრ. კავშირის გამგეობა.

— ორშაბათს, დეკემბრის 26-ს, საღამოს 7 საათზე, „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. ითხოვენ წევრებს დროზე—არ დაიგვიანონ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვმა
განახლ. მიღება
სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრობელ რაზმის უკან. ახალბეპუთოვის ქ. № 5. (Новобебутовская). 152.

კბილის ექიმი
ი. გ. ხარებავა ბაქრაძე
ღებულობს ავადმყოფებს, ყოველ დღე დილის 9—2 და საღ. 4—6-დე ექიმობს, პლომბები ხელოვნური კბილები. მუშტაიდის შეს. № 4. 109